საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1602 2024 წლის 5 ნოემბერი ქ. თბილისი

ენერგეტიკის სფეროში სახელმწიფო სერვისების განვითარების კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ენერგეტიკის სფეროში გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოებების გამარტივების, სრულყოფისა და ერთი სარკმლის პრინციპის შემოღების, ასევე ერთიანი ელექტრონული სისტემისა და ბაზის შექმნის მიზნით, განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) დაევალოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ენერგეტიკის სფეროში სახელმწიფო სერვისების განვითარების კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის უზრუნველყოფის მიზნით, უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნა და კოორდინაცია;

ბ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს მთავრობას არაუგვიანეს 2025 წლის 30 იანვრისა წარმოუდგინოს ენერგეტიკის სფეროში სახელმწიფო სერვისების განვითარების კონცეფცია და სამოქმედო გეგმა;

გ) დაევალოთ ენერგეტიკის სფეროში ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე შესაბამის სამინისტროებს, მათი მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, საქვეუწყებო დაწესებულებებსა და მმართველობის ფარგლებში არსებულ სხვა იურიდიულ პირებს, გამოყონ შესაბამისი წარმომადგენლები, ენერგეტიკის სფეროში სახელმწიფო სერვისების განვითარების კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობის მიზნით;

დ) ეთხოვოთ ენერგეტიკის სფეროსთან დაკავშირებულ სხვა ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებს (კონცეფციის შესაბამისად), საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასა და მუნიციპალიტეტებს, მათი უფლებამოსილების ფარგლებში, ხელი შეუწყონ ენერგეტიკის სფეროში სახელმწიფო სერვისების განვითარების კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას, მათ შორის, სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდისათვის“ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების გზით.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე